

დავის გადაწყვეტის საშუალებები საქართველოში



WAYS OF DISPUTE RESOLUTION IN GEORGIA



ბროშურა შექმნილია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების პროექტის ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება საქართველოში შვედეთის კურსდამთავრებულთა ქსელის მიერ შვედური ინსტიტუტის დაფინანსებით, საქართველოში შვედეთის სამეფოს საელჩოს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მხარდაჭერით.

პროექტის პარტნიორები ასევე არიან:

თბილისის ღია უნივერსიტეტი;

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;

აიპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“

აიპ „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრი“

იურიდიული ფირმა „კიკილაშვილი და კომპანია“

პროექტის ავტორისგან

დავის ეფექტიანად გადაწყვეტას დიდწილად განაპირობებს დავის გადაწყვეტის საშუალების სწორად შერჩევა.

მოდავე მხარეებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბოლოო შედეგი, არამედ საქმის განხილვის პროცესი, დრო, დახარჯული რესურსი და დავის შემდგომი ურთიერთობები.

ზემოდასახელებული კრიტერიუმების გათვალისწინებით შესაძლოა დავის გადაწყვეტის ისეთი ოპტიმალური ფორმის შერჩევა, რომელიც მაქსიმალურად იქნება მისადაგებული მხარეთა ინტერესებთან და შედეგების თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად საზიანოც.

არსებულ რეალობაში სასამართლოში საქმისწარმოება დავის გადაწყვეტის ყველაზე უფრო მოთხოვნად და ტრადიციულ გზას წარმოადგენს, თუმცა სასამართლოს მიმართ მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებელი ხშირად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების თაობაზე არასათანადო ინფორმირებულობით არის განპირობებული.

წინამდებარე გზამკვლევის შექმნა მიზნად ისახავს დავის გადაწყვეტის არსებული საშუალებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას, რათა დაინტერესებულმა სუბიექტებმა შეძლონ დავის წარმოების მათთვის საჭირო ფორმის სწორად შერჩევა.

იმედს გამოვთქვამთ, ჩვენი შრომის შედეგი იქნება ნაყოფიერი, სამართლებრივ დავებში ჩართულ პირებს გაუწევს ქმედით დახმარებას და მისცემს საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანად დაცვის საშუალებას.

პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდებოდა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე. გვინდა განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ შვედურ ინსტიტუტს და საქართველოში შვედეთის სამეფოს საელჩოს მიმდინარე პროექტის, ისევე როგორც ქსელის ყველა აქტივობის განხორციელებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის. ასევე გვინდა მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მედიატორთა ასოციაციას და იუსტიციის უმაღლეს სკოლას დავის განხილვის ალტერნატიული საშუალებების განვითარების პროექტის ყველა ეტაპში აქტიური ჩართულობისა და მნიშვნელოვანი კონტრიბუციისთვის.

ასევე, დიდი მადლობა ყველა პარტნიორს, ვისი დახმარების გარეშეც ვერ მოხერხდებოდა პროექტის განხორციელება.

გოგა კიკილაშვილი

საქართველოში შვედეთის კურსდამთავრებულთა ქსელის
ვიცე-თავჯდომარე

შინაარსი

პროექტის ავტორისგან 1

დავის განხილვის საშუალებები საქართველოში..... 4

მართლმსაჯულება 4

საერთო სასამართლოების სისტემა საქართველოში 4

მართლმსაჯულების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები 4

სასამართლოსთვის მიმართვა - განსჯადობის წესი 5

სასამართლოში საქმის განხილვა 6

პროცესის ხარჯები..... 6

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა 8

არბიტრაჟი 10

არბიტრაჟი, როგორც დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება 10

საარბიტრაჟო შეთანხმება 10

საარბიტრაჟო წარმოება..... 11

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება 12

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება..... 14

მედიაცია 16

მედიაციის არსი..... 16

მედიაციის უპირატესობები..... 17

მედიატორი 19

მედიაციის პროცესი20

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა21

სამედიაციო მორიგების აღსრულება21

დავის განხილვის საშუალებები საქართველოში

მართლმსაჯულება*

საერთო სასამართლოების სისტემა საქართველოში

საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების სისტემის მიერ. საერთო სასამართლოების სისტემა მოიცავს სამ ინსტანციას: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საქართველოს სააპელაციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი (საკასაციო) სასამართლო.

სასამართლო ინსტანციები ქმნის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს სააპელაციო სასამართლოში, ხოლო საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს (საკასაციო) სასამართლოში, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც საქმისწარმოება მთავრდება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში და აღარ ექვემდებარება საკასაციო წესით გასაჩივრებას.

* გოგა კიკილაშვილი - სამართლის დოქტორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფირმა „კიკილაშვილი და კომპანია“-ს დირექტორი, კოლექტიური შრომითი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

საერთო სასამართლოების სისტემაში საქმისწარმოება (სამართალწარმოება) ხორციელდება სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით.

წინამდებარე ბუკლეტის მიზნებისთვის საინტერესოა სამოქალაქო წესით საქმისწარმოება, როდესაც მხარეები შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე აწარმოებენ დავას და თავად განსაზღვრავენ დავის საშუალებებს.

ადმინისტრაციული წესით საქმისწარმოება ხორციელდება ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავის შემთხვევაში.

სისხლის სამართლის წესით საქმისწარმოების დროს სახელმწიფო თავად მონაწილეობს ბრალმდებლის სტატუსით, და მოქალაქე ნაკლებად არის ჩართული საპროცესო განხილვაში.

მართლმსაჯულების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

მართლმსაჯულება დავის გადაწყვეტის კლასიკურ ფორმად მიიჩნევა, სადაც დავის განხილვა ხორციელდება სპეციალური

დავების მედიატორი, შვედეთის კურსდამთავრებულთა ქსელის ვიცე-თავმჯდომარე.

კვალიფიკაციის მქონე მოსამართლეების მიერ, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე გადიან სპეციალურ მოსამზადებელ და შესარჩევ ეტაპებს, რაც უზრუნველყოფს დავის კვალიფიციურად, კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით გადაწყვეტას.

სასამართლოს მიმართ მაღალ მიმართვიანობას განაპირობებს ისიც, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას. გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეს შეუძლია მიმართოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, რის საშუალებაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შემთხვევაში მხარე მოკლებულია.

სასამართლო განხილვის ნაგატიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს საპროცესო განხილვის ხანგრძლივობა, რომელიც რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე შეიძლება გაგრძელდეს. დროში გაწელილი საპროცესო ვადები მხარეებისთვის მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე შეეხება ბიზნეს დავებს და შეიძლება გამოიწვიოს საქმისადმი ინტერესის დაკარგვაც კი დავის გადაწყვეტის მომენტისთვის.

სასამართლოში საქმისწარმოების კიდევ ერთი უარყოფითი ეფექტია მხარეებს შორის შემდგომი თანამშრომლობის ხელშეშლა. როგორც წესი, ხანგრძლივი სასამართლო დავის შემდეგ მხარეებს შორის ურთიერთობა იმდენად იძაბება, რომ ეკარგებათ თანამშრომლობის გაგრძელების ინტერესი, რაც ხშირ შემთხვევაში მხარეთათვის მნიშვნელოვანი გარემოებაა.

სასამართლოსთვის მიმართვა - განსჯადობის წესი

სასამართლოსთვის მიმართვის წესი და დავის განხილვის უფლებამოსილების მქონე სასამართლო (განსჯადი სასამართლო) განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებით.

სასამართლოში საქმის წარმოებას მხარეები იწყებენ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

სარჩელის ფორმები წინასწარ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომია როგორც სასამართლოს, ისევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

განსჯადობის საერთო წესის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი). ამ წესიდან გამონაკლისი შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სასამართლოში საქმის განხილვა

სასამართლოში სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

სასამართლოში საქმის განხილვა იწყება სარჩელის წარდგენით, რომლის ასლი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება მოპასუხეს და მას მიეცემა 10 დღის ვადა საკუთარი პოზიციის (შესაგებლის) წარსადგენად. შესაგებლის წარუდგენლობა, ან პროცესზე გამოცხადება, მაგრამ საპროცესო განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმა შეიძლება გახდეს მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების დროს დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას, თუ სარჩელი იურიდიულად დასაბუთებულია.

საპროცესო განხილვა შემდეგი ეტაპებისგან შედგება: მხარეთა ახსნა-განმარტება, მხარეთა შეკითხვები, მტკიცებულებათა გამოკვლევა, მხარეთა პაექრობა და რეპლიკა, რომელთა

დასრულების შედეგაც სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაში, თუ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

პროცესის ხარჯები

სასამართლოში საქმის განხილვა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რომელთაც პროცესის ხარჯები ეწოდება.

პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია განსახილველი საქმის კატეგორიაზე, მოსარჩელის სტატუსზე, სასამართლოს ინსტანციასა და სხვა ფაქტორებზე. საპროცესო კანონმდებლობით

განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის სარჩელები გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისგან.

მაგალითისთვის, როგორც წესი, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. სარჩელები, რომელიც შეეხება: ალიმენტის გადახდევინებას, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას და ა.შ. გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამასთან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ბ.ა) ფიზიკური პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისათვის – 7 000 ლარს;

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

გ.ა) ფიზიკური პირისათვის – 6 000 ლარს;

გ.ბ) იურიდიული პირისათვის – 8 000 ლარს.

სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

ასევე, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს უტყუარ მტკიცებულებებს წარუდგენს.

იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში,

მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

- გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება;
- სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;
- სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა;
- თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ,

თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო გადაწყვეტილება საჩივრდება დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე

საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდა დავა, სასამართლოდან იღებს სააღსრულებო ფურცელს და წარუდგენს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ან კერძო აღმასრულებელს, რის შედეგადაც იწყება იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განხორციელება.

არბიტრაჟი*

არბიტრაჟი, როგორც დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება

მსოფლიოში არსებულმა გლობალიზაციის პროცესმა ისევე, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ გავლენა იქონია კერძოსამართლებრივი დავების განხილვის ფორმებსა და წესებზე. იმისათვის, რომ საერთაშორისო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, შეიქმნა დავების გადაწყვეტის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მისაღები იყო სამართლის სხვადასხვა სისტემის სუბიექტებისათვის. დღეისთვის არბიტრაჟი ბიზნეს დავების გადაწყვეტის ყველაზე პოპულარულ ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევა. იგი სახელმწიფოს მიერ დაშვებული, თუმცა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გარეთ არსებული ინსტიტუტია. არბიტრაჟი უფლებამოსილია, განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, თუ მხარეები შეთანხმდებიან ამგვარი დავის არბიტრაჟისათვის გადაცემაზე.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების უმთავრესი პრინციპი მხარეთა ნების ავტონომიურობაა. მხარეები საკუთარი ნებით ირჩევენ დავის გადაწყვეტის გზას და ითვალისწინებენ

შეთანხმების სავალდებულო შედეგებს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

არბიტრაჟი მრავალი უპირატესობით ხასიათდება, რომელთაგან უმთავრესი დავის მოკლე ვადაში დასრულების შესაძლებლობაა. სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში საქმის წლობით განხილვისაგან განსხვავებით, საარბიტრაჟო წარმოება შემჭიდროვებულ ვადაში სრულდება. დავის სწრაფი გადაწყვეტა აიაფებს დავის წარმოებისას გასაწევ ხარჯებს. ამასთან, როგორც წესი, საქმე განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე, რაც კონფიდენციალობის ერთ-ერთი გარანტიაა.

არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის წინაპირობა მხარეთა მიერ დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებაა.

საარბიტრაჟო შეთანხმება

საქართველოში არბიტრაჟის განვითარება 1997 წელს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაიწყო. 2009 წელს ამოქმედდა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. იმისათვის, რომ დავა

* ნინო ლიპარტია - სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის გამგეობის თავმჯდომარე.

გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს, აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.¹ საარბიტრაჟო შეთანხმება მხარეთა შეთანხმების შედეგია. იგი შეიძლება არსებობდეს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების სახით. out

საარბიტრაჟო შეთანხმება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა გაფორმდეს. ეს შეიძლება იყოს ცალკე შეთანხმება, ან სხვა დოკუმენტის ნაწილი, მთავარია, წერილობით იყოს დადასტურებული მხარეთა ნება დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის თაობაზე. შეთანხმება ასევე, შესაძლებელია დაიდოს ელექტრონული შეტყობინებების, ან საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას. დავის განხილვის ალტერნატიულ ფორმაზე შეთანხმება მკაფიოდ და წერილობითი ფორმით უნდა შედგეს. ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში მხარეთა შორის დავას სასამართლო არ განიხილავს.

¹ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

საარბიტრაჟო წარმოება

საარბიტრაჟო წარმოება იწყება მხარის მიერ არბიტრაჟისთვის საარბიტრაჟო სარჩელით მიმართვით, რომელიც ეგზავნება მოპასუხე მხარეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარმოსადგენად. საქმე შეიძლება განიხილოს ერთმა ან რამდენიმე არბიტრმა. არბიტრად დანიშვნისათვის აუცილებელია თავად მისი თანხმობა და მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე მხარეებს წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ.

არბიტრი დავის განხილვის მიზნით ამზადებს საქმეს, უგზავნის მხარეებს საქმის მასალებს და ატყობინებს მათ სხდომის თარიღს. არბიტრი უფლებამოსილია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, თუმცა დავას არსებითად განიხილავს მთავარ სხდომაზე. მხარეები ვალდებული არიან არბიტრაჟში წარმოადგინონ ყველა მტკიცებულება, რომელზეც ამყარებენ თავიანთ პოზიციას, მათ შორის, წერილობითი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნა, მოითხოვონ მოწმის დაკითხვა და ა.შ.

არბიტრი ვალდებულია მხარეთათვის უზრუნველყოს თანაბარი საპროცესო უფლებები. სხდომაზე არბიტრი უსმენს პროცესის ყველა მონაწილეს, აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და

მისი დასრულების შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას. ამასთან, აუცილებელია არბიტრი იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი. იგი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ იგი მხარეთა შეთანხმებულ კვალიფიკაციის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ან/და თუ არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობის დასაბუთებულ ეჭვს აჩენს.

არბიტრაჟის ერთ-ერთი უპირატესობა დავის სწრაფად განხილვის შესაძლებლობაა. საქმის განხილვის ვადები არბიტრაჟის დებულებით ან მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. კანონის თანახმად, მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანის ვადა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღით განისაზღვრება. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.

საარბიტრაჟო დავის განხილვისათვის არბიტრაჟში დადგენილია შესაბამისი გადასახადი, რომელსაც საარბიტრაჟო მოსაკრებელს უწოდებენ. მათი ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხშირ შემთხვევაში არბიტრაჟის დებულებით.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდგომ არბიტრი იღებს წერილობით გადაწყვეტილებას, რომლის შესრულება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სასამართლოს კონტროლი. კერძოდ, საქართველოს ფარგლებს შიგნით მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ. საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იურიდიულ ლიტერატურაში არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობას განმარტავენ, როგორც სასამართლოს დასტურს, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეებისათვის. ამის შემდგომ მხარეებს უფლება ერთმევათ, იმავე დავის საგანზე ხელახლა მიმართონ დავის განმხილველ ორგანოს.

გადაწყვეტილების აღსრულება დამოუკიდებელი ეტაპია და იგი იძულებითი აღსრულების დაწყების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. აღსრულების პროცესის დაწყების წინაპირობაა უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ცნობა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფორმით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე განჩინებასთან ერთად მხარეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ განჩინებაზე საკასაციო ან კერძო საჩივარი არ დაიშვება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ ცნობისა და აღსრულების განხილვის დროს არ ხდება იმ მატერიალური სამართლის ნორმების განხილვა, რომელიც გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად.

მხარეს შეიძლება უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე თუ:

მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს დაამტკიცებს, რომ:

- საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო

გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

- იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს;
- არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი;

სასამართლო დაადგენს, რომ:

- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გაცდეს კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებს და ცნობასა და აღსრულებაზე უარი განაცხადოს სხვა საფუძველზე მითითებით. აღნიშნულიც არბიტრაჟის ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა განვიხილოთ, რადგან სასამართლოს მოქმედების ფარგლები საკმაოდ შეზღუდულია.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა მხარის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა. საჩივრის წარდგენის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხოლოდ კანონით ამომწურავად ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობისას.

მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს საჩივრით მიმართავს და დამტკიცებს, რომ:

- საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც

საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

- მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება;
- არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – ამ კანონის მოთხოვნებს;

სასამართლო დაადგენს, რომ:

- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

მედიაცია*

მედიაციის არსი

მედიაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.

მედიაციის პროცესში გადაწყვეტილებას თავად მხარეები იღებენ და არა მედიატორი. მედიატორის მთავარი ფუნქციაა წარმართოს მოლაპარაკების პროცესი ეფექტიანად, ხელი შეუწყოს მხარეებს, რომ მოუსმინონ ერთმანეთს, განიხილონ დათმობაზე წასვლის შესაძლებლობები მორიგების შესაძლებლობები და კომპრომისის გზით მიაღწიონ შეთანხმებას. მედიატორი უზრუნველყოფს კონსტრუქციული გარემოს შექმნას და შენარჩუნებას, რათა მაქსიმალურად შეზღუდოს ნეგატიური ემოციების როლი მოლაპარაკებაში.

მედიაცია ყველაზე მეტად ეფექტიანია, როდესაც მხარეებს სურთ დავის სწრაფად და კონფიდენციალურად მოგვარება მომავალში ურთიერთობის შენარჩუნების პერსპექტივით. მედიაცია საუკეთესო გზაა. რათა მხარეებმა თავიდან აირიდონ ხანგრძლივი და საჯარო სასამართლო პროცესები.

* თათია ქვრივიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სასამართლო მედიატორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს კონსულტანტი.

არსებობს მედიაციის ორი ძირითადი სახე: კერძო და სასამართლო მედიაცია.

კერძო მედიაციის განსახორციელებლად არ არის საჭირო სასამართლოსათვის მიმართვა. იგი ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე.

სასამართლო მედიაცია ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ. სასამართლო მედიაციას საქმე შეიძლება გადაეცეს როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს ინიციატივით.

სასამართლოს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით სასამართლო მედიაციას განსახილველად გადასცეს შემდეგი კატეგორიის დავები:

- საოჯახო სამართლებრივი დავები, გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა;
- სამემკვიდრეო სამართლებრივი დავები;
- სამეზობლო სამართლებრივი დავები;

- შრომით სამართლებრივი დავები, გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული კოლექტიური დავისა;
- საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავები;
- ქონებრივი დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 20000 ლარს არ აღემატება;
- საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 10000 ლარს არ აღემატება;
- არაქონებრივი დავები.

გარდა ზემოჩამოთვლილი კატეგორიის დავებისა, მხარეებს საკუთარი ინიციატივით შეუძლიათ მოითხოვონ სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემა ნებისმიერი სხვა კატეგორიის დავაზე.

მედიაციის უპირატესობები

- **ეკონომიურობა** - სასამართლო მედიაციაში საქმის განხილვისთვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 1%-ს (არანაკლებ 50 ლარისა). ხოლო იმ შემთხვევაში თუ მედიაციაში დავა მხარეთა

შეთანხმებით დასრულდა, მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

გარდა სახელმწიფო ბაჟისა, მედიაციის ადრეულ ეტაპზე გამართვის შემთხვევაში, მხარეებს ადვოკატის ჰონორარი და სხვა ხარჯები ბევრად ნაკლები ექნებათ, სასამართლოში საქმის სამივე ინსტანციაში განხილვის შედეგად გაღებულ ხარჯებთან შედარებით.

მაშასადამე, ადრეულ ეტაპზე მორიგების მიღწევას მედიაციის გზით, მოჰყვება ადვოკატების ანაზღაურების და სხვა ხარჯების მნიშვნელოვანი დაზოგვა.

- **კონფიდენციალობა** - სასამართლო მედიაციის კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს პროცესის სრული კონფიდენციალობა. მხარეთათვის მედიაცია ზიანის მომტანი არ არის ინფორმაციის გამჟღავნების მხრივ. კონფიდენციალობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხარეებისთვის, რომელთაც არ სურთ საჯარო გახდეს დავის შესახებ ინფორმაცია, რაც სასამართლოში საქმის განხილვის შემთხვევაში გარდაუვალი იქნება.

მედიაციის პროცესში გაჟღერებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება დაუშვებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეები ვერ მორიგდებიან მედიაციის ფარგლებში და დავა სასამართლოში

გაგრძელდება, იმ ინფორმაციას, რომელიც გაჟღერდა მედიაციის პროცესში, მხარეები ვერ გამოიყენებენ სასამართლოში საქმის განხილვისას, ვინაიდან სასამართლო მას არ მიიღებს მტკიცებულებად. რომ არა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის სათანადო გარანტიები, მედიაციის პროცესში მხარეები არ გაამხელდნენ მათთვის სენსიტიურ ინფორმაციას მისი გავრცელების შიშით.

არსებობს კონფიდენციალურობის პრონციპიდან გამონაკლისები. მაგალითად, თუ ინფორმაციის გამჟღავნება უცილებელია პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, ან თავისუფლების უზრუნველსაყოფად ანდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად; ასევე, თუ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვის. არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებიც, თუმცა ასეთ შემთხვევებში ამ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით და ამის შესახებ შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება.

- **სისწრაფე** - განსხვავებით სასამართლოში საქმის ხანგრძლივი განხილვისგან, მედიაციის პროცესის

შედეგად დავა მორიგებით ერთ დღეშიც შეიძლება დასრულდეს, ხოლო სასამართლო მედიაციის შემთხვევაში დადგენილია პროცესის ხანგრძლივობის მაქსიმალური ვადა, რაც 45 დღეს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში მხარეები ვერ მორიგდებიან, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს პროცესი იმავე ვადით.

- **მხარის მიერ შედეგის კონტროლი** - მედიაციაში გადაწყვეტილების მიმღები არიან მხარეები და არა მედიატორი. მხარეები წყვეტენ უნდა შედეგს თუ არა მორიგება და რა პირობებით. არავის შეუძლია მედიაციის მხარეების იძულება რაიმე ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს მედიაციის, განსხვავებით სასამართლოსა და არბიტრაჟისგან, სადაც გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე და არბიტრი და მხარეები ვერ აკონტროლებენ სამართლებრივ შედეგებს.

- **ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობა** - ურთიერთობების შენარჩუნება განსაკუთრებით მაშინაა მნიშვნელოვანი მხარეებისთვის, თუ საქმე ეხება სამეზობლო, სამემკვიდრეო, საოჯახო-სამართლებრივ დავას ან მხარეები ბიზნეს-პარტნიორები არიან და

შემდგომი თანამშრომლობის მიზნით სურთ ურთიერთობის შენარჩუნება. მედიაცია კი საუკეთესო გზაა მხარეების ურთიერთობის შესანარჩუნებლად. სასამართლოსა და არბიტრაჟში, სადაც მესამე მხარე იღებს გადაწყვეტილებას, მსგავსი რამ შეუძლებელია.

- **მოქნილობა** - მედიაცია მხარეებისთვის კომფორტულია იმ მხრივაც, რომ პროცესი მიმდინარეობს არაფორმალურ გარემოში. მედიატორს შეუძლია აქტიური როლის შესრულება, შეხვედეს მხარეებს ცალ-ცალკე რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს მათი ინტერესების და პოზიციების შესახებ.

მედიაციის პროცესი შედეგის მხრივაც მოქნილია. ის რაც შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვერ აისახოს, შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ ასეთ პირობაზე მედიაციაში.

- **მორიგების აღსრულება** - სამედიაციო მორიგება, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლოა სასამართლომ აღასრულოს. აღსრულების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია როგორც ერთ, ისე ორივე მხარეს.
- **მედიატორის არჩევის შესაძლებლობა** - სასამართლოსგან განსხვავებით, სადაც მოსამართლეზე საქმე ელექტრონულად ნაწილდება და მხარეებს არა აქვთ

უფლება შეარჩიონ მათი საქმის განმხილველი მოსამართლე, მედიაციის შემთხვევაში თავად მხარეები ირჩევენ მედიატორს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან. შესაძლებელია მედიაციის წარმართვა ორი მედიატორის მონაწილეობითაც.

სასამართლო მედიაციის დროს მხარეები მედიატორს ირჩევენ სასამართლოს მიერ მედიატორთა ერთიანი რეესტრის საფუძველზე შედგენილი და მხარეებისათვის შეთავაზებული მედიატორთა კანდიდატურების სიიდან, მისი საქმიანობის არეალის გათვალისწინებით. თუ სასამართლოს მიერ მხარეებისათვის მედიატორთა კანდიდატურების სიის შეთავაზებიდან 3 დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის კანდიდატურის არჩევაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაცია მედიატორად ნიშნავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მომდევნო პირს.

მედიატორი

მედიატორი არის მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი, მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს მედიაციის ტრენინგი და ფლობს მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს.

მედიატორთა მონაცემების ნახვა შესაძლებელია საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mediators.ge.

აღსანიშნავია, რომ არ არის აუცილებელი მედიატორი პროფესიით იურისტი იყოს, არამედ იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი.

მედიაციის პროცესი

მედიაციის პროცესი შედგება რამდენიმე სტადიისგან. შესაძლებელია მედიაცია ჩატარდეს დისტანციურად, სპეციალური პროგრამის გამოყენებით, რომელიც პანდემიის პირობებში დაინერგა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ.

მედიაციის პირველ სესიაზე მხარეები პირადად ხვდებიან მედიატორს. მედიაციის პირველი სესია, როგორც წესი, გაცნობითი ხასიათისაა. მედიატორი მხარეებს განუმარტავს მედიაციის პროცესის წარმართვის პრინციპებს, მედიატორის როლს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მედიაციის შესაძლო შედეგებს, მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების წესს, აგრეთვე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესსა და პირობებს.

მედიაციის პროცესში მხარეები შეიძლება მონაწილეობდნენ ადვოკატებთან ერთად ან ადვოკატების გარეშე. მედიაციისთვის

უმნიშვნელოვანესია, პროცესში მონაწილეობას იღებდეს უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები პირი. ამ მიზნით მას შეუძლია, შესთავაზოს მხარეს, რომ მედიაციის პროცესში უშუალოდ ჩაერთოს პირი, ვინც რეალურად იღებს გადაწყვეტილებას სადავო საკითხთან დაკავშირებით.

მედიაციის ძირითადი სესიების დროს მედიატორი ცდილობს თანხმობის და უთანხმოების სფეროების განსაზღვრას. მედიატორი შეისწავლის მხარეთა პრიორიტეტებს და ეძებს თანხმობის ან საერთო ინტერესების სფეროებს. მედიატორი სვამს შეკითხვებს საერთო მიზნების, სურვილების და ინტერესების შესახებ და ამით ცდილობს მხარეები თავად მიიყვანოს პრობლემის გადაჭრის გზებისკენ.

ინდივიდუალური სესია - მედიატორს შეუძლია მხარეებს ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე შეხვდეს ინდივიდუალურ სესიაზე. ეს განსაკუთრებით მაშინაა საჭირო, როცა მედიაციის პროცესი ჩიხშია შესული. ინდივიდუალური კომუნიკაცია მხარეებს აძლევს საშუალებას, მედიატორს გაუმჟღავნონ ის ინფორმაცია, რომლის გაჟღერებაც მათ არ სურთ ერთობლივ სესიაზე, ასევე, გაუზიარონ მედიატორს მორიგების მიღწევის მიზნით მათ მიერ განსახორციელებელი კომპრომისის ფარგლები. ინდივიდუალურ სესიაზე გაჟღერებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თავად მხარეს არ სურს მედიატორის მიერ მეორე მხარისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება ან შეთავაზების გაკეთება შეთანხმების ცალკეულ პირობებთან დაკავშირებით.

მედიაციის დასასრული - მედიაციის დასრულების რამდენიმე შესაძლო ვარიანტი არსებობს. პირველ შემთხვევაში, მხარეები მიაღწევენ მორიგებას და შედგება სამედიაციო მორიგება. მეორე შემთხვევაში, თუ მედიაცია ჩიხში შევა და მხარეები არ წავლენ დათმობაზე, მედიაცია შეწყდება მხარეთა ან თავად მედიატორის ინიციატივით. მესამე შემთხვევაში, სასამართლო მედიაცია შეწყდება თუ გავიდა კანონით გათვალისწინებული 45 დღიანი ვადა. სასამართლო მედიაციის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმე კვლავ სასამართლოს გადაეცემა განსახილველად.

როდესაც მედიაციის პროცესი სრულდება მხარეთა მორიგებით, დგება სამედიაციო მორიგების აქტი. მხარეთა სურვილის შემთხვევაში, მედიატორს შეუძლია დაეხმაროს მათ სამედიაციო მორიგების შედგენაში, შესთავაზოს სამედიაციო მორიგების პირობები, მათი ინტერესებისა და მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მათ მიერ გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით. სამედიაციო მორიგების აქტს ხელს აწერენ მხარეები და მედიატორი.

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

კერძო მედიაციის დაწყების მომენტიდან ჩერდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა.

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად მიიჩნევა კერძო მედიაციის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს კერძო

მედიაციის დაწყებიდან 2 წლისა. კერძო მედიაციის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში დრო, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებული იყო, აღნიშნულ ვადაში არ ჩაითვლება.

სამედიაციო მორიგების აღსრულება

მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღსრულოს. სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ.

სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს იხილავს ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

დავის გადაწყვეტის საშუალებები საქართველოში



WAYS OF DISPUTE RESOLUTION IN GEORGIA



SI. Swedish Institute



შვედეთი
Sverige



საპარტოვლოს
მედიაციის
აუციენტო



SI. Swedish Institute



შვედეთი
Sverige



საპარტოვლოს
მედიაციის
აუციენტო



The booklet is created in the frames of Alternative Dispute Resolution Development Project.

The project is being implemented by Sweden Alumni Network Georgia with funding of Swedish Institute and support of Embassy of Kingdom of Sweden in Georgia, Mediators Association of Georgia and Highest School of Justice.

The project is being implemented in partnership with:

Tbilisi Open University

Grigol Robakidze University

International Black Sea University

NGO “GLIP Georgian Lawyers for Independent Profession”

NGO “Legal Profession’s Development Center”

Law Firm “Kikilashvili & Company”

From Author of the Project

Efficient resolution of the dispute is meaningfully determined by proper selection of a mean of dispute resolution.

From the perspective of disputing parties, it does matter not only the final decision, but the process of case review, duration of proceedings, amount of resources spent and post-dispute relations.

Based on the criterions listed above there is an opportunity to select a optimal form of dispute resolution that fits parties' interests best of all and causes less harmful consequences as well.

In an existing reality judiciary is the most demanded way of dispute resolution, but high level of applicability to the court may be determined by lack of information about alternative ways of dispute resolution.

